



**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს  
საკატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

„—“ ————— 2017 წელი

თბილისი

№ —————

**უკონტაქტო პატრულირების განხორციელების სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრის შესახებ**

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „პოლიციის სარგებლობაში არსებულ შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნების არმქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ავტომატური ფოტო- და ვიდეოტექნიკის, არასტაციონარული (მოძრავი) სიჩქარის მზომი ხელსაწყოების განთავსებისა და გამოყენების, აგრეთვე მონაცემთა დამუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის №328 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №993 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

- საგზაო მოძრაობის ორგანიზების და საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე, გახშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და ვიდეოკამერების მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, განხორციელდეს უკონტაქტო პატრულირება ყოველდღიურად, 10:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე უწყვეტად, შემდეგ საგზაო მონაკვეთებზე:
  - ქ. თბილისი ბელიაშვილის ქუჩა (ორმხრივად, არაუმეტეს 8 კმ.);
  - ქ. თბილისი ბარნოვი-აბაშიძის ქუჩა (ორმხრივად, არაუმეტეს 5.5 კმ.);
  - ქ. ბათუმი გორგილამის ქუჩა (ორმხრივად, არაუმეტეს 5 კმ.);
  - ქ. ქუთაისი ჭავჭავაძის ქუჩა (ორმხრივად, არაუმეტეს 5 კმ.);
  - ქ. ქუთაისის შემოვლითი გზა (სამტრედიიდან ქუთაისისკენ, ცალმხრივად, არაუმეტეს 14 კმ.).
- ბრძანება აღსასრულებლად გაეგზავნოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი ოპერაციების ცენტრს (დეპარტამენტი).
- ბრძანება ამოქმედდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ([info.police.ge](http://info.police.ge)) გამოქვეყნებისთანავე.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალურად გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, გულუას ქ. №10).

**საკატრულო პოლიციის  
დეპარტამენტის დირექტორი  
პოლიციის მაიორი**

გამოყენებულია ელექტრონული  
ხელმოწერა

**ალექსანდრე ხვადაგიანი**